



კულტურულ-კომუნიტარული
ფონდი „სოხუმი“

**მშვიდობის მშენებლობა და
კონფლიქტების მრანსფორმაცია
ადგილობრივ დონეზე
ადრეული გაფრთხილების
გენდერულად ორიენტირებული
სისტემის დანერგვის გზით**

2019

მშვიდობის მშენებლობა და კონფლიქტების
მრანსფორმაცია ადგილობრივ დონეზე ადრეული
გაფრთხილების გენდერულად ორიენტირებული
სისტემის დანერგვის გზით

შინაარსი

შესავალი	2
პირველი ნაწილი	
კავშირი გენდერსა და კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერულად ორიენტირებულ სისტემას შორის და ქალების ჩართვის მნიშვნელობა მისი განვითარების ყველა ეტაპზე	8
მეორე ნაწილი	
ფონდი „სოხუმის“ გამოცდილება	14
2.1. კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერულად ორიენტირებული სისტემის დანერგვის პირველი ნაბიჯები თემებში	14
2.2. კონფლიქტების გამომწვევი ადამიანური უსაფრთხოების რისკებისა და საფრთხეების თაობაზე სამიზნე თემების გამოკითხვის შედეგები	15
2.2.1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია	15
2.2.2. მიღებული შედეგების ანალიზი	17
2.3. პრობლემების პრიორიტეტების მიხედვით გამოყოფა შემდგომი რეაგირებისა და მოგვარებისთვის - ფონდი „სოხუმის“ წარმატებული ისტორიები	25
დასკვნა	34

შენსაკალი

კონფლიქტური ურთიერთობები მუდმივად წარმოიქმნება ადამიანთა საქმიანობაში და უამრავ სხვადასხვა შედეგს იწვევს. არ არსებობს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზების ერთმნიშვნელოვანი და მარტივი განმარტება. არც იმისა, თუ რა გავლენას ახდენენ ისინი კონფლიქტის ესკალაციაზე და როგორ გადაიზრდებიან ძალადობრივ ფაზაში. კონფლიქტის დინამიკა განპირობებულია მთელი რიგი რთული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ეკოლოგიური ფაქტორის ურთიერთკავშირით. კონფლიქტების გააზრებისა და მათი ეფექტური მართვისთვის ყურადღება უნდა მიექცეს უამრავ კონკრეტულ ასპექტს, ისეთებს, როგორებიცაა, მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესება, მოსახლეობის სიღარიბე, უმუშევრობა, უთანასწორობა, დისკრიმინაცია, უმცირესობის უფლებების დარღვევა, საზოგადოების გარკვეული ჯგუფებისთვის ძალაუფლების ჩამორთმევა, საომარი მოქმედებების მუქარა და საფრთხის სხვა წყაროების არსებობა. ამ ფაქტორების გარკვეულმა შერწყმამ შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობა, ძალადობა ან შეიარაღებული კონფლიქტი. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ, ჩვეულებრივ, დაძაბულობის აფეთქებისთვის საჭიროა გარკვეული პირობების მომწიფება. იმისათვის, რომ არ დაეუშვათ და თავიდან ავიცილოთ კონფლიქტები, რომელთაც გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს ადამიანებისთვის, აუცილებელია ძალადობასთან დაკავშირებული კონფლიქტების წინასწარი **გაფრთხილება და პრევენცია**. ეს არის კონფლიქტების მართვის ყველაზე გონივრული და სასარგებლო სტრატეგია, რადგანაც მიმართულია არა წარმოქმნილი კონფლიქტის შეწყვეტისა თუ მოგვარებისკენ, არამედ მისი არდაშვებისა და აცილებისკენ. პირველი ნაბიჯი კონფლიქტების თავიდან აცილებისკენ არის პროგნოზი, თუ როდის, სად და რატომ შეიძლება გაჩნდეს ესა თუ ის კონფლიქტი.

შესაბამისად, ნებისმიერი პრობლემის მოგვარებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა, გაირკვეს მისი არსი, მიზეზები, რა უნდა გაკეთდეს მისი გადაწყვეტისთვის და საამისოდ რამდენია დრო. მნიშვნელოვანია, გაცნობიერებულ იქნას არა მხოლოდ ადრეული პრევენციის სისტემის პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობა, არამედ მისი წარმატებისა და ეფექტურობის უზრუნველყოფაც.

ადრეული გაფრთხილების სისტემა, როგორც წესი, აერთიანებს ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს კონფლიქტის მაპროვოცირებელი ფაქტობრივი და პოტენციური ფაქტორების შესახებ. ეს ინფორმაცია გამოიყენება კონფლიქტის დინამიკაზე დასაკვირვებლად, დაძაბულობისა თუ ძალადობის პროგნოზირებისა და იმ კონკრეტული სამოქმედო სტრატეგიის შემუშავებისთვის, რომელიც მიმართულია კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების შერბილებისკენ.

შეგროვებული, დამუშავებული და გაანალიზებული მონაცემები საბოლოო ჯამში წარედგინება იმ სუბიექტებს, რომელთაც ხელენიფება არსებულ პრობლემაზე რეაგირება - იქნება ეს მთავრობა თუ სამოქალაქო საზოგადოება. თუმცა, კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების სისტემის წარმატება და ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული, ერთი მხრივ, თემის / ადგილობრივი მოსახლეობის (ქალები და მამაკაცები) უშუალო მონაწილეობის უზრუნველყოფაზე მისი განვითარების ყველა ეტაპზე და, მეორე მხრივ, იმაზე, თუ რამდენად ინტეგრირებულია გენდერული პერსპექტივები და მიდგომები შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ მოსახლეობას და თემს ადგილებზე უფრო მეტად მიუწვდება ხელი არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით უტყუარ და რეალურ ინფორმაციაზე და უფრო ღრმად ერკვევა კონფლიქტების დინამიკაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემის განხილვა არა

მხოლოდ როგორც ინფორმაციის მიღების წყაროდ, არამედ მისი ჩართვა ინფორმაციის შეგროვების, გარკვეულნილად - მიღებული მონაცემების ანალიზის და პრობლემაზე რეაგირებისთვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების პროცესში. ადრეული გაფრთხილების სისტემა, რომელიც იგება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა და არასტაბილურ გარემოში მცხოვრებთა მონაწილეობის გარეშე, სადაც მოსახლეობას არ განიხილავენ სოციალური ცვლილებების მთავარ ძრავად, ვერ შეძლებს კონფლიქტების თავიდან აცილებას და ვერ მიაღწევს მდგრად პოზიტიურ ცვლილებებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

ამას გარდა, მნიშვნელოვანია, რომ თემში მცხოვრები ქალები და მამაკაცები ერთნაირად უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს და ჰქონდეთ განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში უშუალო მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები.

სანამ ქალები უსაფრთხოდ არ არიან თავიანთ სახლებსა და თემებში, სანამ საფრთხე ექმნება მათი და მომავალი თაობის განვითარებას, შეუძლებელია ირწმუნო მდგრადი მშვიდობის. როცა ქალები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, როცა მათ შეუძლიათ მობილიზება და წინააღმდეგობების გარეშე გაერთიანება თავიანთი უფლებების უზრუნველყოფისა და მშვიდობის მიღწევისთვის - გრძელვადიანი და მდგრადი მშვიდობის შექმნაც რეალური ხდება.

სამწუხაროდ, გამოცდილება ადასტურებს, რომ კონფლიქტების ანალიზი, მათ შორის ადრეული პრევენცია, ტრადიციულად, არ ითვალისწინებს ქალთა უფლებებს და მათ გენდერულ თავისებურებებს. მინიმალურია ქალთა მონაწილეობა მათივე უსაფრთხოებისთვის არსებული რისკების იდენტიფიცირების და აგრეთვე ამ რისკების აცილებისთვის აუცილებელი ზომების შემუშავების პროცესში. ადრეული გაფრთხილების სისტემის შემუშავებისა და დანერგვის დროს, როგორც წესი, ნაკლები ყურადღება ექცევა სტრუქ-

ტურულ თუ კონფლიქტურ-სპეციფიკურ განსხვავებებს ქალებისა და მამაკაცების სიტუაციებს შორის. მაგალითად, არ ხდება განსხვავებული საფრთხეების აღქმის, მონყვლადობის ხარისხის, განსხვავებული გამოცდილების და ქალებსა და მამაკაცებზე კონფლიქტის ზეგავლენის გათვალისწინება.

შედეგად, ქალთა შეხედულება და მიდგომა პრაქტიკულად არ არის ინტეგრირებული ინფორმაციის შეგროვებაში, დაგეგმვასა და ადრეული გაფრთხილების სისტემის შემუშავებაში. ხოლო როდესაც ქალები არ არიან ჩართულები ადრეული პრევენციის სისტემის პროცესში, მათი მონაწილეობა კონფლიქტების თავიდან აცილება და პოსტკონფლიქტურ აღდგენაში საგრძნობლად შეზღუდულია. არსებობს რისკი, რომ ადრეული გაფრთხილების სისტემამ შესაძლოა ადეკვატურად ვერ იწინასწარმეტყველოს და აიცილოს კონფლიქტი. გენდერული ასპექტი და ქალთა და მამაკაცთა განსხვავებულობის სპეციფიკა ხშირად იგნორირებულია კონფლიქტის თავიდან აცილებისკენ მიმართულ მოქმედებებში, რაც, რასაკვირველია, დაკავშირებულია ქალთა მიმართ უკვე არსებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან.

ქალთა მოსაზრებების ინტეგრაცია და გენდერული თავისებურებების გათვალისწინება ადრეული გაფრთხილების სისტემის ყველა ეტაპზე წარმოადგენს არა მხოლოდ სახელმწიფოების ვალდებულებას - რათა უზრუნველყოს ადამიანის უფლებების სფეროში საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, არამედ აუცილებლობას, რომ უკეთ იქნას გაგებული კონფლიქტის მიზეზები, შედეგები, რაც ხელს შეუწყობს სათანადო და ეფექტიანი ზომების შემუშავებას კონფლიქტებისა და კრიზისების შერბილების თუ თავიდან აცილებისთვის.

ადრეული გაფრთხილების სისტემაში გენდერული საკითხების ინტეგრირებისთვის მამაკაცებსა და ქალებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, არა მარტო აცნობონ თავიანთი სიტუაცია უსაფრთხოების კუთხით, არამედ უნდა შეეძლოთ

უშუალო მონანილეობის მიღება არსებული საფრთხეების ანალიზში და იმის განხილვა, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია რისკებს მათ ცხოვრებაზე. ასევე მნიშვნელოვანია, აიგოს კავშირი პრობლემის ძირითად მიზეზებსა და გენდერულ უთანასწორობაზე მათ გავლენას შორის. ხშირად სწორედ საზოგადოებაში არსებული უთანასწორობა იწვევს კონფლიქტებს. ამის გათვალისწინებაც აუცილებელია იმ მონაცემთა ანალიზის დროს, რომლებიც იკრიბება პრევენციისთვის სათანადო რეკომენდაციების ფორმულირებისა და შემუშავების მიზნით.

საქართველოსთვის ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ქვეყანაში ორი მოუგვარებელი და გაყინული კონფლიქტის, საკმაოდ რთული შიდაპოლიტიკური და სოციალური ფონის, უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, რაც უშუალო გავლენას ახდენს მოსახლეობის ფსიქოემოციური მდგომარეობის გაუარესებაზე და ხელს უწყობს დაძაბულობის ზრდას, დამატებითი საფრთხეები ექმნება მშვიდობასა და სტაბილურობას. ამ კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების, მათი წარმოშობის ფაქტორების და მიზეზების და კონფლიქტის ესკალაციის ტენდენციების საგულდაგულოდ შესწავლა როგორც ეროვნულ, ისე თემის დონეზე. ამისთვის საჭიროა ეფექტიანი მექანიზმის შექმნა: ინფორმაციის უწყვეტი შეგროვების და ანალიზის და პოტენციური კონფლიქტების დაუშვებლობისთვის რეაგირების სათანადო ზომების შემუშავების მიზნით, რაც შემდგომში მიენოდება პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს როგორც ადგილებზე, ისე ეროვნულ დონეზე.

ამ სტატიის მიზანია - დაინტერესებულ პირებს, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, წარედგინოს კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების სისტემის მოკლე მიმოხილვა და ეტაპები. ამას გარდა, მასში განხილულია თემ-

თა ჩართვის და გენდერული ასპექტების გათვალისწინების მნიშვნელობა მისი განვითარების ყველა ეტაპზე და ისიც, თუ როგორ შეუძლია გენდერული პრობლემატიკის ინტეგრაციას ადრეული გაფრთხილების სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. სტატიაში ასევე განზოგადებულია ფონდი „სოხუმის“ მიერ დასავლეთ საქართველოს კონფლიქტურადმგრძნობიარე რეგიონებში (ქუთაისი და წყალტუბო იმერეთის რეგიონში და კონფლიქტის გამყოფ ზოლთან მდებარე სოფლები ხურჩა და კოკი - სამეგრელოს რეგიონის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში) ჩატარებული გამოკითხვის შედეგები¹. გამოკითხვის მიზანი იყო იმ პრობლემების შესწავლა, რომელთაც თემში დაძაბულობისა და კონფლიქტების გამონვევა შეუძლიათ. სტატიაში აგრეთვე მოყვანილია პრობლემების მოგვარებისა და საზოგადოებაში დაძაბულობის პრევენციის კონკრეტული მაგალითები ფონდი „სოხუმის“ წარმატებული პრაქტიკიდან. მიღებული გამოცდილება და გაკვეთილები ხელს შეუწყობს კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების უფრო მასშტაბური სისტემის შემუშავებას და გააძლიერებს თემთა, მათ შორის ქალებისა და სამოქალაქო საზოგადოების, ზემოქმედებას ხელისუფლების ოფიციალურ სტრუქტურებზე.

¹ რეგიონები, სადაც დიდი კონცენტრაციაა დევნილებისა და იმ მოსახლეობის, რომელსაც შეეხო კონფლიქტი.

პირველი ნაწილი

კავშირი ბენდერსა და კონფლიქტების აღრეული გაფრთხილების ბენდერულად ორიენტირებულ სისტემას შორის და ქალების ჩართვის მნიშვნელობა მისი განვითარების ყველა ეტაპზე

დღეისათვის კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის შენების პროცესში, აგრეთვე კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების სისტემის შემუშავების ეტაპებზე მნიშვნელოვანწილად იგნორირებულია გენდერული საკითხები, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტი, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოებს, ჩართონ ქალები და აამაღლონ მათი როლი კონფლიქტების დარეგულირების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების კუთხით გადანყვეტილების მიღების ყველა დონეზე.

საერთაშორისო სამართალი არა მხოლოდ ხაზს უსვამს და მოუწოდებს ქალთა თანაბარი მონაწილეობისკენ კონფლიქტების ადრეული პრევენციის და მათზე რეაგირების სისტემის დანერგვისა და განხორციელების პროცესში, არამედ ნიადაგს ქმნის გენდერული ინდიკატორებისა და ანალიზის შემუშავებისთვის. გაეროს კონვენციაში „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ ნათქვამია, რომ **„ქალთა მიმართ დისკრიმინაცია არღვევს თანასწორობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის პრინციპებს (და) აბრკოლებს მამაკაცის თანაბრად ქალის მონაწილეობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში“**². პეკინის დეკლარაციაში და სამოქმედო პლატფორმაში აღნიშნულია,

² კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, გაეროს უშიშროების საბჭო, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf>

რომ „ქალთა“ სრულ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მოგვარებაში და სხვა სამშვიდობო ინიციატივებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მდგრადი და გრძელვადიანი მშვიდობის განხორციელებისათვის“, რაც ასევე ასახულია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ში „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“. მასში ხაზგასმულია ქალთა მნიშვნელოვანი როლი კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მოგვარებაში, მშვიდობის შენებაში, ასევე - ქალთა თანაბარი და სრული მონაწილეობის აუცილებლობა კონფლიქტების თავიდან აცილებასა და მოგვარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეუთომ, თავის მხრივ, ასევე დაადასტურა, რომ ემხრობა როგორც პეკინის პლატფორმას, ასევე რეზოლუცია 1325-ს, როცა ამ დოკუმენტებზე მიუთითა ეუთოს მინისტრთა საბჭოს №14/05 გადაწყვეტილებაში „ქალთა როლი კონფლიქტების თავიდან აცილებაში, კრიზისების რეგულირებასა და პოსტკონფლიქტურ აღდგენაში“ და ასევე ეუთოს მინისტრთა საბჭოს №14/04 გადაწყვეტილებაში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად ეუთოს 2004 წლის სამოქმედო გეგმის მიღებასთან დაკავშირებით - სადაც ქალთა ჩართვა კონფლიქტების თავიდან აცილების პროცესში პრიორიტეტულ საკითხადაა განსაზღვრული.

ქალთა ჩართვის მნიშვნელობა კონფლიქტების თავიდან აცილების, მართვის და მოგვარების ყველა ეტაპზე ხაზგასმულია რეზოლუცია 1325-ის შესრულების საქართველოს 2018-2020 წლების ეროვნულ გეგმაშიც. ამ სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველო იღებს ვალდებულებას, ადრეული გაფრთხილების გენდერულად მგრძობიარე სისტემის შესახებ შეიმუშაოს ნორმატიული დოკუმენტი, აგრეთვე შეაგროვოს მონაცემები და გააკეთოს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის დევნილების, განსაკუთრებით კი გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადამიანე-

ბის საჭიროებების შეფასება (მიზანი 3)³. კონკრეტული მოქმედებების შემსრულებლები არიან სამინისტროები და სახელმწიფო უწყებები, მაშინ როცა სამოქალაქო საზოგადოება და სხვა დაინტერესებული პირები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ დამხმარე სუბიექტების სახით. სამოქმედო გეგმაში სიახლეა ის, რომ მასში პირველადაა განსაზღვრული ადგილობრივი მუნიციპალიტეტების როლი. მათ, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ გეგმაში განერილი მიზნების მიღწევისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოში არ მიიღება არანაირი ქმედითი ზომა კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნისთვის.

მოსახლეობის პრობლემების გენდერული ანალიზი შეიძლება დაეხმაროს მათი წარმოშობის მიზეზების გამოვლენაში, ამ პროცესში ქალთა აქტიური ჩართვა კი აღნიშნული პროცესის ეფექტიანობას უზრუნველყოფს. ქალები ხშირად მეტად ღირებულ და მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ თავიანთ თემებში არსებულ პრობლემებზე, კონფლიქტებსა თუ კონფლიქტის საშიშროებებზე, მაგალითად, გააჩნიათ ინფორმაცია ქალთა უფლებების უზრუნველყოფისა და თავისუფლების ხარისხზე, ან გენდერული ძალადობის მასშტაბებზე ოჯახში და განსაკუთრებით - მამაკაცის ქცევაზე ოჯახში და მის ფარგლებს გარეთ. საგულისხმოა, რომ სწორედ ქალთა მიმართ ოჯახში და მის ფარგლებს გარეთ ძალადობის მასშტაბების ზრდა არცთუ იშვიათად ასახავს მთელ საზოგადოებაში დაძაბულობისა და აგრესიის მატებას. ამ კონკრეტული პრობლემების გამოვლენით შეიძლება მომავალი კრიზისებისა და კონფლიქტების პროგნოზირება.

³ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გავროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, 2018 ხელმისაწვდომია: <http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/the%202018-2020%20national%20action%20plan%20of%20georgia%20geo.pdf?la=en&vs=1043>

ქალთა ჩართვამ ინფორმაციის შეგროვების პროცესში შეიძლება აამაღლოს მიღებული მონაცემების ხარისხი. ისინი საზოგადოებაში სოციალიზაციას მამაკაცებისგან განსხვავებულად ახდენენ და, შესაბამისად, შეუძლიათ სხვაგვარად აღიქვან პრობლემა, რაც ქალთა ხედვას არსებულ პრობლემებზე ფასდაუდებელს ხდის. გარდა ამისა, ბევრად მაღალია ინტერვიუერი ქალისადმი ქალი-რესპონდენტის ნდობა და გულახდილობა პრობლემის და უსაფრთხოების საშიშროებების შესახებ ინფორმაციის გაცვლისას. როგორც შედეგი, ქალებს შეუძლიათ სხვადასხვა შეკითხვის დასმა, გენდერულად სპეციფიკური ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივი ინფორმაციის შეგროვებას და ყველაზე ეფექტიანი ზომების შემუშავებას პრობლემების თუ შესაძლო კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.

გენდერული ასპექტების ინტეგრაციის აუცილებლობა მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზში აიხსნება შემდეგი მიზეზებით:

- ❖ გენდერული ასპექტები ასახავენ მამაკაცებისა და ქალების სხვადასხვა საჭიროებას და ინტერესს, რადგან ისინი სხვადასხვაგვარად აღიქვამენ უსაფრთხოებას და საფრთხეებს. შესაბამისად, საკითხზე სხვადასხვა შეხედულება შეიძლება განსაკუთრებულად სასარგებლო იყოს ადრეული გაფრთხილების სისტემისთვის, არსებულ სიტუაციაზე უფრო დანვრილებითი სურათის და უფრო სრული პასუხის მიღების მიზნით. სრული სურათი კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეებსა თუ სავარაუდო საშიშროებებზე ნიადაგს ქმნის დროული რეაგირებისთვის;
- ❖ ადრეული გაფრთხილების სისტემის განვითარების პროცესში გასათვალისწინებელია როლების დიდი მრავალფეროვნება, რომელთაც ასრულებენ ქალები კონფლიქტის კონტექსტში, მათ შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში. გენდერული ანალიზი ხელს შეუწყობს ამ როლების შესწავლას, რათა თავიდან იქნას აცი-

ლებული გენდერული როლების არასწორ ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული დისკრიმინაციული პოლიტიკა⁴.

ეფექტიანია ადრეული პრევენციის ის სისტემები, რომლებიც კონფლიქტების თავიდან აცილების და დაუშვებლობის მიზნით უზრუნველყოფენ მამაკაცებისა და ქალების თანაბარ მონაწილეობას დაგეგმვის, მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და კონფლიქტების თავიდან აცილებისთვის რეაგირების შესაბამისი ზომების შემუშავების პროცესში, ასევე უზრუნველყოფენ მათ უშუალო ჩართვას ადვოკატირების ეტაპზე.

ინფორმაციის შეგროვების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანაა გენდერული ასპექტების შემცველი მახასიათებლების / სპეციალური ინდიკატორების შემუშავება. ორგანიზაცია “SaferWorld”-ის მიერ ადრეული პრევენციის სისტემაში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირების საკითხებზე არსებული კვლევების შესწავლის და ანალიზის თანახმად, არ არსებობს საერთო შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რა სახის **ადრეული გაფრთხილების ინდიკატორი შეიძლება ჩაითვალოს გენდერულად მგრძობიარედ**. თუმცა გენდერული მაჩვენებლების განსაზღვრისთვის ყურადღება შეიძლება მიექცეს შემდეგ ფაქტორებს⁵, მაგალითად:

- ასახავს თუ არა ინდიკატორი ქალთა მდგომარეობას საზოგადოებაში (მაგალითად, გენდერული ძალადობის ხარისხი, ქალების რაოდენობა სახელისუფლებო სტრუქტურებში ან გადანყვეტილების მიმღებ პოზიციებზე);

⁴ გენდერი და ადრეული გაფრთხილების სიტემა, შესავალი, (OSCE / ODIHR), 2009, გვ. 13, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე <https://www.osce.org/odihr/40269?download=true>

⁵ გენდერი და კონფლიქტების ადრეული გაფრთხილება, კონფლიქტის ადრეული გაფრთხილების სისტემაში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვის შედეგი, Saferworld, 2014 წლის 28 მაისი, გვ. 4 (ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე)

- განეკუთვნება თუ არა ინდიკატორი კონკრეტულად ქალებს ან მამაკაცებს (მაგალითად, ქალთა უფლებების დარღვევა, დისკრიმინაციის ხარისხი ქალებსა და მამაკაცებში, უმუშევრობის დონე ქალებსა და მამაკაცებში, დანაშაული მამაკაცებსა და ქალებს შორის, გენდერული ნიშნით მკვლევლობის დინამიკა);
- ინდიკატორი, რომელიც ასახავს კონტროლის დონეს ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა თუ მოძრაობების მიმართ, არჩევანის უფლების შეზღუდვა, ან ქალებთან დაკავშირებით რეაქციული მოსაზრებების გავრცელების ტენდენციები;
- არსებობს თუ არა გენდერული სტატისტიკის წარმოების პრაქტიკა.

საზოგადოების რაც შეიძლება ფართო წრის ჩართვა (მათ შორის - ქალებისა და კაცების, ახალგაზრდების, ეროვნული და რელიგიური უმცირესობების და ა.შ.) კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების სისტემის განვითარების პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა საზოგადოებაში დაძაბულობა ან უსაფრთხოების არარსებობა შეიარაღებული კონფლიქტის, სამოქალაქო ნესრიგის დარღვევის ან ძირითადი ეკონომიკური და სოციალური უფლებების იგნორირების შედეგი, ამას უსათუოდ წინ უძღვის ადამიანის უფლებათა სისტემატური დარღვევა და მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის დისკრიმინაცია. სულ უფრო აშკარაა, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევა მიუთითებს მოსალოდნელ ან უკვე წარმოშობილ კრიზისზე და ადრეულ სტადიაზე ადამიანის უფლებათა სფეროში სათანადო ზომების მიღება მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო წრეების ჩართვის უზრუნველყოფით მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს კრიზისული სიტუაციის თავიდან აცილებას და მის დაუშვებლობას.

მეორე ნაწილი

ფონდი „სოხუმის“ გამოსდილება

2.1. კონფლიქტების აღრეული გაფრთხილების გენდერულად ორიენტირებული სისტემის დანერგვის პირველი ნაბიჯები თემატიკაში

ფონდი „სოხუმის“ მრავალწლიანმა მუშაობამ მშვიდობის მშენებლობისა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით გამოავლინა ქალთა შეხედულებებისა და პერსპექტივების თვალსაზრისით ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის შესწავლის საჭიროება. ისრაელსა და პალესტინაში მცხოვრებ ქალთა მეთოდის გამოყენებით და საკუთარ საზოგადოებებში სპეციფიკურ პირობებზე ადაპტირების გზით ფონდმა „სოხუმმა“ და აფხაზეთის ქალთა ორგანიზაციამ შეიმუშავეს ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის განსაზღვრის მეთოდოლოგია და განახორციელეს ქალთა ადამიანური უსაფრთხოების კვლევა. კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა საჭიროებები და პრობლემები, რომელთაც ყოველდღურად აწყდებიან ქალები და რომლებიც შეიცავენ საფრთხეებს როგორც მათი პირადი უსაფრთხოების, ასევე მთელი საზოგადოებისთვის. ქალთა ადამიანური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქალებისთვის წარმოადგენს არა უბრალოდ სასურველ შედეგს, არამედ ვალდებულებას, რომელიც აიღო მთავრობამ უამრავი საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მეშვეობით, მათ შორისაა: კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ათასწლეულის განვითარების მიზნები, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 და ა. შ. ქალთა ადამიანური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა დაედოს საფუძვლად მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხებზე პოლიტიკის დაგეგმვას, იქნება ეს ადგილობრივ, ეროვნულ თუ გლობალურ დონეზე.

ადამიანური უსაფრთხოების შესწავლის მიმართულებით მუშაობამ განაპირობა ახალი პროექტის შექმნა. პროექტი ითვალისწინებდა კონკრეტულ ნაბიჯებს ადგილებზე დაძაბულობისა

და კრიზისების ადრეული პრევენციის გენდერულად ორიენტირებული სისტემის განვითარებისა და დანერგვისთვის. შვედეთის ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია Kvinna till Kvinna-ს მხარდაჭერილი პროექტის „კონფლიქტების ადრეული პრევენცია - თეორია და პრაქტიკა“ ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციები დეტალურად გაეცნენ კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერულად ორიენტირებული სისტემის მეთოდოლოგიას და ეტაპებს და შეიმუშავეს პრაქტიკაში მისი დანერგვის კონკრეტული სტრატეგია. მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების აპრობირების მიზნით ფონდმა „სოხუმმა“ დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რეგიონში ჩაატარა ანკეტირება იმ პრობლემების გამოსავლენად, რომლებსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდება მოსახლეობა და რაც საფრთხეს უქმნის სამიზნე თემების უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. ამას გარდა, მნიშვნელოვანი ამოცანა იყო გამოვლენილი პრობლემების თავიდან ასაცილებლად კონკრეტული ნაბიჯების შეიმუშავების პროცესში თვით თემთა წარმომადგენლების ჩართვა და მათი უშუალო მონაწილეობის უზრუნველყოფა პრობლემათა მოგვარების ადვოკატირებაში.

ანკეტირების შედეგების მოკლე მიმოხილვა და საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად თემების მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები ამ პუბლიკაციის შემდგომ ნაწილებშია წარმოდგენილი.

2.2. კონფლიქტების გამომწვევი ადამიანური უსაფრთხოების რისკებისა და საფრთხეების თაობაზე სამიზნე თემების გამოკითხვის შედეგები


2.2.1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

აღნიშნული გამოკითხვის მიზანი იყო თემთა წინაშე მდგარი იმ ძირითადი პრობლემებისა და გამოწვევების გამოვლენა, რომლებიც კვლევის სამიზნე რეგიონებში საფრთხეს უქმნიან სტაბილურობას და კონფლიქტის გამოწვევა შეუძ-

ლიათ. კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ ქალები, გოგონები და ხანდაზმული ქალები, რომლებიც ცხოვრობენ ქუთაისში, წყალტუბოში (იმერეთის რეგიონი), ხურჩაში, კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სამეგრელოს რეგიონი). გამოკითხვისთვის რეგიონების არჩევა განაპირობა ამ ადგილებში იძულებით გადაადგილებულ პირთა / დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებულ ადამიანთა დიდმა კონცენტრაციამ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 100-მა ქალმა (იხ. დიაგრამა №1), მონაწილეთა ასაკი კი მერყეობდა 18-დან 70 წლამდე (იხ. დიაგრამა №2).


დიაგრამა №1

გამოკითხულ ბენეფიციართა რაოდენობა



დიაგრამა №2

გამოკითხულ ბენეფიციართა ასაკი



ინფორმაციის შეგროვების მეთოდად გამოყენებულია ანკეტირება, რომელშიც შეკითხვების დაჯგუფება მოხდა ადამიანური უსაფრთხოების სხვადასხვა კატეგორიის შესაბამისად. ამან შესაძლებელი გახადა სამიზნე ლოკაციებში ქალებისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემების გამოვლენა და სადღეისოდ თემებში დაძაბულობის მიზეზების გარკვევა. გარდა ამისა, გამოკითხვაში აისახა მონაწილეთა დამოკიდებულება და ნდობის ხარისხი იმ აქტორების მიმართ, ვისაც ხელეწიფება არსებული პრობლემების თავიდან აცილება და გავლენის მოხდენა საზოგადოებაში შესაძლო დაძაბულობის პრევენციაზე.

2.2.2. მიღებული შედეგების ანალიზი

ეკონომიკური უსაფრთხოება


გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ სამიზნე რეგიონებში ქალებისთვის ყველაზე მწვავე და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს *ეკონომიკური უსაფრთხოება*, რომელსაც შეუძლია საზოგადოებაში არასტაბილურობის და კონფლიქტების გამოწვევა.

გამოკითხულ ქალთა 88%-მა *უზუშეურობა და დაუსაქმებლობა* დაძაბულობის უპირველეს ფაქტორად აღნიშნა. 47% მიიჩნევს, რომ კონფლიქტების განვითარებას ხელს უწყობს *მოსახლეობის მხარდამჭერი სათანადო სახელმწიფო პროგრამების არარსებობა სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით*, რაც პრიორიტეტულია სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის და უშუალო გავლენას ახდენს მოსახლეობის დასაქმების დონეზე. სოფელში მცხოვრები ქალებისთვის განსაკუთრებით აქტუალური პრობლემაა ფაროსანას მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების - მათ შორის, თხილის და სიმინდის - ტოტალური განადგურება, რაც შემოსავლის მომტანი ძირითადი პროდუქტი იყო მოსახლეობისთვის. ძირითადი პროდუქტების გაფუჭების გამო უმრავლესობა არა მხოლოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, არამედ ბანკის მევალედ იქცა და საარსებო წყაროს გარეშე დარჩა.

ბანკის მაღალი საკრედიტო პროცენტები, ქალთა 53%-ის აზრით, ხელს უშლის საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობას, რაც განაპირობებს მოსახლეობაში მევაღეთა მაღალ დონეს. ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საზოგადოებაში მიგრაციის მაღალ ხარისხზე, განსაკუთრებით ქალთა შორის, რომელთაც ოჯახის გადარჩენის და დახმარების მიზნით საზღვარგარეთ უწევთ წასვლა. გამოკითხულთა 55%-ის მტკიცებით, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ერთნაირად აწუხებთ სოფლად და ქალაქად მცხოვრებთ, არის მიგრაციის მაღალი დონე. ქალთა 66%-მა აღნიშნა, რომ ფინანსური შემოსავლის დაბალი დონე, მათივე კი, ვინც დასაქმებულია, აფერხებს ცხოვრებისა და განვითარებისთვის სტაბილური გარემოს შექმნას. სტაბილურობის საფრთხეს, ქალთა 32%-თვის, წარმოადგენს სამუშაოს / შემოსავლის დაკარგვა. რესპონდენტთა 20% მიიჩნევს, რომ დღეისათვის შექმნილია ბიზნესის განვითარებისთვის არახელსაყრელი გარემო, ხოლო გამოკითხულთა 19% ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებას მიანერს ეროვნული ვალუტის დევალვაციას და მკვეთრ გაუფასურებას (იხ. დიაგრამა №3).

დიაგრამა №3

ეკონომიკური უსაფრთხოება




სოციალური უსაფრთხოება

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენს სტაბილური ცხოვრებისა და საზოგადოების განვითარებისთვის სოციალურ სფეროში, ქალთა 76%-მა აღნიშნა *ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის* მაღალი დონე, რაც პრაქტიკულად ერთნაირად ანუხებთ როგორც ქალაქში, ისე სოფლებში, ოდნავ უფრო მეტად - გამყოფ ხაზთან ახლომდებარე ლოკაციებში. ქალთა 15%-ს აღელვებს ის, რომ ახალგაზრდები *დაუსაქმებლნი არიან და არ გააჩნიათ მომავლის პერსპექტივა*. ეს შეიძლება ნეგატიურად აისახოს მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და გახდეს სოციალური დაძაბულობის წყარო, ხელი შეუწყოს კრიმინალიზაციას და საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ სტაბილურობას და უსაფრთხოებას. 53%-ს ანუხებს მიგრაციის მაღალი დონის მიზეზით *დაყოფილი ოჯახების* საკითხი. ქალთა 13%-ს აღელვებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის *სტატუსის მოულოდნელად და უსაფუძვლოდ მოხსნის შიში*, რასაც შედეგად უამრავი ოჯახის უსახსროდ დატოვება მოსდევს - ეს თანხა ხშირად მათი ერთადერთი საარსებო წყაროა. ყოველივე ეს კი იწვევს უკმაყოფილებას და დაძაბულობას საზოგადოებაში. ამ საკითხს ერთვის მოსახლეობის არაინფორმირებულობა სოციალური სერვისების თაობაზე, რაც, ქალთა 8%-ის აზრით, ზრდის მოსახლეობაში დაძაბულობის ხარისხს. სასურსათო უსაფრთხოება, კერძოდ კი მაღაზიებში სურსათის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა, გამოკითხულ ქალთა 10%-ის მოსაზრებით, საშიშროებას წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის. *ამბულატორიული ცენტრების არარსებობა*, ან მათი არასაკმარისი რაოდენობა განსაკუთრებით მწვავე პრობლემად მიაჩნია ხურჩელ ქალთა 83,3%-ს. ნიშანდობლივია, რომ საზოგადოების *სოციალური პოლარიზაცია*, კერძოდ კი სოციალური უთანასწორობა, მდიდრებად და ღარიბებად საზოგადოების დაყოფაც განგაშის თემაა რესპონდენტ ქალთა 6%-თვის (იხ. დიაგრამა №4).

ღიბრამა №4

სოციალური უსაფრთხოება




უსაფრთხოება და ინფრასტრუქტურა

გამოკითხვამ გამოავლინა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობა, რაც ინვესტს ქალთა განსაკუთრებულ მღელვარებას. გამოკითხულ ქალთა უმრავლესობამ, კერძოდ კი 41%-მა, აღნიშნა წყალსადენების არარსებობა, რაც კოკისპირული წვიმების და უხვი ნალექის დროს საფრთხეს უქმნის გადაადგილებას, უარეს შემთხვევაში კი დასახლებების დატბორვის რისკს წარმოადგენს. ქუთაისსა და წყალტუბოში ქალთა 40% აფიქსირებს წყალმომარაგების პრობლემას. ქალთა 36%-ს კი, როგორც ქალაქში, ისე სოფელში აღელვებს შიდა გზების გაუმართაობა. ქუჩის განათების არარსებობა, ქალთა 16%-ის აზრით, სამიზნე თემებში საშიშროებას წარმოადგენს ფიზიკური და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის. გამოკითხულ ქალთა 38% არადამაკმაყოფილებლად აფასებს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხს, რაც ხშირად უკავშირდება სარემონტო სამუშაოების დაბალ ხარისხს ან ხანგრძლივ პროცესს, ეს კი დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას. დაუშვებელ ადგილებში

სამშენებლო სამუშაოების წარმოება ქუთაისში გამოკითხულ ქალთა 6%-ს აღელვებს (იხ. დიაგრამა №5).

დიაგრამა №5

უსაფრთხოება და ინფრასტრუქტურა




კულტურა / რელიგია და უსაფრთხოება

გამოკითხვის შედეგებით გამოვლინდა, რომ კვლევის სამიზნე რეგიონებში რელიგიისა და კულტურის საკითხები ნაკლებად აქტუალურია და არ წარმოადგენს განსაკუთრებულ საშიშროებას საზოგადოების უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის. თუმცა, აღინიშნა რამდენიმე ფაქტორი, რომელსაც შეუძლია კონფლიქტის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. მაგალითად, რესპონდენტთა 16% მიიჩნევს, რომ *კულტურული ცენტრების არარსებობა ახალგაზრდებისთვის*, სადაც ისინი თავისუფალ დროს გაატარებდნენ და სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში ჩაერთვებოდნენ, ნეგატიურად აისახება საზოგადოებრივ სტაბილურობაზე. პრობლემაა *ეკლესიის არარსებობაც*, რასაც სოფელ ხურჩის მცხოვრებ რესპონდენტ ქალთა 3% შეეხო. სხვა რესპონდენტებისგან განსხვავებით, ქუთაისელი ქალებისთვის, კერძოდ კი საერთო რაოდენობის 8%-თვის, და-

დაბულობის და კონფლიქტების მიზეზად შეიძლება იქცეს სხვადასხვა დიალექტის არსებობა საქართველოში. სექტანტურ ჯგუფებს (მაგალითად, იეჰოვას მოწმეები) კონფლიქტების წარმოშობის საფრთხედ განიხილავს რესპონდენტთა 8%. ეს პრობლემა განსაკუთრებით ანუხებთ სოფელ ხურჩის მცხოვრებთ. გამოკითხულ ქალთა 6% მიიჩნევს, რომ კულტურის ძეგლთა დაუცველობაც დიდი პრობლემაა საზოგადოებისთვის და კონფლიქტების გაჩენის რისკს შეიცავს (იხ. დიაგრამა №6).

დიაგრამა №6

კულტურა, რელიგია, უსაფრთხოება




პოლიტიკური უსაფრთხოება

ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური კლიმატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მოსახლეობის შეხედულებათა პოლიტიკური პოლარიზაციის დონე და ამკარაა, რომ ეს მაჩვენებელი უშუალოდ უკავშირდება სოციალური და დაბულობის ხარისხს საზოგადოებაში. გამოკითხულ ქალთა 31%-მა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაძაბული წინასაარჩევნო დაპირისპირება ასახავს პოულობს ყოველდღიურ ცხოვრებაში და მოქალაქეებს შორის რადიკალურ წინააღმდეგობამდე

მივყავართ. საზოგადოებაში საკმაოდ მაღალია პოლიტიკური შეხედულებებისა და პოზიციების პოლარიზაციის დონე, რაც ხშირად აგრესიაში ვლინდება. სიტუაციას ამძაფრებს პოლიტიკური ნიშნით *მოქალაქეთა დევნის საფრთხე*, რაც გამოკითხულ ქალთა 13%-თვის წარმოადგენს დესტაბილიზაციისა და კონფლიქტების რისკს. არჩეული დეპუტატების მხრიდან მოქალაქეთა სისტემატური მოტყუებით და დაპირებების შეუსრულებლობით გამონვეული საზოგადოებრივი იმედგაცრუება, რესპონდენტთა 36%-ის აზრით, შეიძლება ასევე დესტაბილიზაციისა და დაძაბულობის მიზეზად იქცეს. ქალების 27% მიიჩნევს, რომ საზოგადოება შეპყრობილია სოციალურ-პოლიტიკური *ნიჰილიზმით*. ეს ყველაზე ხშირად გამოიხატება იმით, რომ მოსახლეობა პასიურია და არ გააჩნია სურვილი, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებისა და მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში, რაც, თავის მხრივ, ამუხრუჭებს განვითარებას და საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის *კომუნიკაციის დაბალი დონეც* პრობლემად შეფასდა რესპონდენტთა 24%-ის მიერ (იხ. დიაგრამა №7). ყველაფერი ეს ხელს უშლის მოქალაქეთა აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პოლიტიკის და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში, რაც მიმართულია მოსახლეობის წინაშე მდგარი საჭირობოტო და მწვავე პრობლემების მოგვარებისკენ. ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის და კომუნიკაციის დეფიციტიც ნათლად აისახება ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობის ხარისხსა და დამოკიდებულებაზე. ეს თვალსაჩინოდ აისახა ქალების პასუხებში კითხვაზე - უმთავრესად ვის მიმართავენ თავიანთ თემში პრობლემის არსებობის შემთხვევაში: ადგილობრივი ხელისუფლება მხოლოდ 8%-მა ახსენა (8 ქალი).

დიაგრამა №7

პოლიტიკური უსაფრთხოება




უმთავრესად ვის მიმართავს მოსახლეობა კონფლიქტური სიტუაციის წარმოშობის დროს?

კითხვაზე, ყველაზე ხშირად ვის მიმართავს მოსახლეობა პრობლემებისა და კონფლიქტების წარმოშობის შემთხვევაში, ქალებმა გარკვეული პასიურობა გამოამჟღავნეს და თავი შეიკავეს პასუხისგან. მაგრამ იმ რესპონდენტთა უმრავლესობამ, ვინც უპასუხა, კერძოდ კი 16%-მა, აღნიშნა, რომ მიუმართავთ ან მიმართავენ არასამთავრობო ორგანიზაციებს. 14% უპირატესობას ანიჭებს იურისტს და მხოლოდ 8%-მა დაასახელა ადგილობრივი ხელისუფლება. მხოლოდ 2%-ია მზად, ითანამშრომლოს სამართალდამცავ ორგანოებთან. ასეთივე დაბალია ცალკეული პოლიტიკური პარტიისა თუ ეკლესიის წარმომადგენლებისადმი მიმართვის მაჩვენებელი. მედიამაუწყებელთან დაკავშირებისთვის მზადაა ქალთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 4% (იხ. დიაგრამა №8).

ღიაბრამა №8

ვის მიმართავეთ პრობლემების და კონფლიქტების შემთხვევაში?



2.3. პრობლემების პრიორიტეტების მიხედვით გამოყოფა მათზე შემდგომი რეაგირებისა და მოგვარებისთვის - ფონდი „სოხუმის“ წარმატებული ისტორიები

ჩატარებული კვლევის შემდგომი ეტაპი იყო იმ უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი პრობლემების პრიორიტეტების მიხედვით გამოყოფა, რომლებიც განსაკუთრებით ანუხებს სამიზნე თემებს, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობდა უსაფრთხოების, სტაბილურობის და ადამიანთა ნორმალური ცხოვრების საფრთხეების გამოვლენას, რასაც არსებული პრობლემა იწვევდა კონკრეტულ თემში. და, მეორე მხრივ, პრობლემის გენდერული განზომილების შეფასებას, კერძოდ, როგორ მოქმედებს ეს პრობლემები ქალებსა და ბავშვებზე, რამდენად ნეგატიური შეიძლება იყოს მათი მოგვარების გა-

დავადების შედეგები და რამდენი ქალი და ბავშვი მიიღებს სარგებელს ამ პრობლემის გადაჭრით.

თვით სამიზნე თემების, მათ შორის კონკრეტული დასახლებების ლიდერი ქალების, აქტიური ჩართვით ფონდმა „სოხუმმა“ გააანალიზა ყველა პრობლემა აქტუალობის, გადაუდებლობის და გენდერული მანკვინებლების თვალსაზრისით. შემდეგ გამოიყო კონკრეტული გამოწვევები და შემუშავდა მათზე რეაგირების გეგმა და სტრატეგია. კონკრეტული მოქმედებების განხორციელებისთვის ფონდმა „სოხუმმა“ ჩამოაყალიბა „პრობლემაზე რეაგირების საინიციატივო ჯგუფი“ (საინიციატივო ჯგუფი), რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ფონდის, თემის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები - მაქსიმალური ჩართულობის, დასმული პრობლემების ეფექტიანი ადვოკატირებისა და მოგვარების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

მუშაობის შედეგად გამოვლინდა, რომ სამივე სამიზნე ადგილას კონფლიქტების წარმოშობის მთავარ რისკსა და გამოწვევას წარმოადგენდა ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც უშუალო გავლენას ახდენდა ქალების ცხოვრებაზე. ჩაბნელებული ქუჩები, კეთილმოუნყობელი გზები, წყალსანიაღვრე სისტემის და წყალმომარაგების პრობლემები, რაც, პირველ რიგში, სწორედ ქალებსა და ბავშვებს უქმნის დისკომფორტს, ხელს უშლის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნას, კეთილდღეობას და, რასაკვირველია, ინვეს დაძაბულობას, ზრდის კონფლიქტების გაღვივების საფრთხეს.

თემების წინაშე მდგარი რამდენიმე კონკრეტული პრობლემა და გამოწვევა, აგრეთვე - მათი თავიდან ასაცილებლად მიღებული ზომები ცალკეული სამიზნე რეგიონის მიხედვით - შემდგომში იქნება განხილული.

ქუთაისი



ქუჩაში ღამის ბანათების არარსებობის პრობლემა

ქუთაისში, გუგუნავას ქუჩაზე, ერთ-ერთ ჩიხში, სადაც 10 ოჯახი ცხოვრობს (მათ შორის მრავალშვილიანი დედები და მცირეწლოვან ბავშვთა დედები), არ იყო ქუჩის განათება. მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავედობდა ზამთრის პერიოდში, როცა ადრე ბინდდება და ბავშვებიან ქალებს, მოსწავლეებს სიბნელეში უწევდათ შინ დაბრუნება. იყო ქურდობის ფაქტები, საეჭვო და უცნობი ადამიანების თავშეყრის შემთხვევები. სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა და მეზობლებს შორის კონფლიქტში გადაიზარდა, როცა სიბნელეში მეზობლის ძაღლი ამ ქუჩაზე მცხოვრებ ქალს გაეკიდა. გაირკვა, რომ დისკომფორტის და ფიზიკური საშიშროების მიუხედავად, რომელსაც მოსახლეობა ყოველდღიურად განიცდიდა, არასოდეს უცდია, მიემართა სათანადო სამთავრობო სტრუქტურებისათვის. ქუჩის მცხოვრებლებს არ ჰქონდათ ინფორმაცია პრობლემის მოგვარების გზებსა და მეთოდებზე.

დასახლების მდგომარეობის შესწავლის შემდეგ ფონდმა „სოხუმმა“, მცხოვრებლებთან ერთად, მიიღო კონკრეტული ზომები პრობლემაზე ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღების მისაქცევად. ორგანიზაციის დახმარებით დაიწერა წერილი ადგილობრივი თვითმმართველობის მისამართით, მცხოვრებლების მიერ შეგროვდა საჭირო ხელმოწერები. გაიმართა ადგილობრივი ხელისუფლებისა და თემის წარმომადგენლების არაერთი შეხვედრა, როგორც ქალაქის მერიაში, ასევე კონკრეტულ დასახლებაში. სამთვიანი მუშაობის და აქტიური ადვოკატირების შედეგად, ქუჩის განათების ერთი ბოძი დაიდგა. მაგრამ ქალებმა, რომელთაც უკვე გაიგეს ხე-

ლისუფლების ყურადღების მიქცევის მეთოდები და კომუნიკაციის გზები, შემდეგ თვეებში დამოუკიდებლად მიაღწიეს დამატებით კიდევ ორი ბოძის დამონტაჟებას და შეძლეს იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც 25 წლის განმავლობაში გადაუჭრელი იყო თემისთვის.



წყალგაყვანილობის სისტემის პრობლემა

ქალაქ ქუთაისში, ავტოქარხნის ტერიტორიული ერთეულის ერთ-ერთ ეზოში, სადაც სამი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი დგას, შეიქმნა წყალგაყვანილობის მიწების პრობლემა - სუსტი გამტარიანობის გამო წვიმის დროს ეზო იტბორებოდა. განსაკუთრებული სიმწვავეთ განიცდიდნენ ამ პრობლემას პირველი სართულის მცხოვრებლები, რადგან წყალი ბინის ფანჯრებამდე აღწევდა. დაბალი სართულების კედლები პრაქტიკულად გაფუჭდა. შენობაში ნესტის საშინელი სუნი იდგა. მოსახლეობა სასონარკვეთაში იყო. არსებული პრობლემა ნეგატიურად მოქმედებდა სახლის ბინადრებზე, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებზე, რომლებიც დროის უმეტეს ნაწილს არაჯანსაღ გარემოში ატარებდნენ.

გამოკითხვის მონაწილეების მიერ აღნიშნული პრობლემის დასმის შემდეგ, ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლებმა ადგილზე დაწვრილებით შეისწავლეს სიტუაცია და სამმხრივი შეხვედრა მოაწყვეს ორგანიზაციის ოფისში. შეხვედრაზე მონაწილეები იყვნენ პრობლემით შეწუხებული მობინადრეები, მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის ავტოქარხნის ტერიტორიული ერთეულის თავმჯდომარე. რამდენიმე საათის განმავლობაში სახლის მცხოვრებნი თავიანთ პრობლემებზე საუბრობდნენ და ჩინოვნიკებთან ერთად გადაჭრის გზებს გეგმავდნენ. საგუ-

ლისხმობა, რომ პრობლემაზე რეაგირება მეორე დღესვე დაიწყო - მერიიდან ადგილზე გაგზავნილ იქნა სპეციალისტთა ჯგუფი მიზეზების დიაგნოსტიკისთვის. გაირკვა, რომ პრობლემა წყალსანიღვრე მილების არასწორი დამონტაჟების გამო წარმოიშვა და მიზეზები მალევე აღმოიფხვრა. მუშაობის პროცესში გაირკვა ისიც, რომ ამ უბანზე არსებობდა ელექტრომაგვითულების და ხეების გადაჯვარედინების პრობლემაც, რაც დიდ რისკს უქმნიდა მოსახლეობას. ეს პრობლემაც პარალელურად გადაიჭრა. გამოვლინდა ხშირი დატბორვებით გამოწვეული ეზოს გარეგანათების პრობლემაც, რაც ასევე მოგვარდა. აქტიური ადვოკატირებისა და რეაგირების შედეგად, გადაიჭრა სამი საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის ფიზიკურ და სოციალურ უსაფრთხოებას.

წყალტუბო



წყალმომარაგების პრობლემა

ქალაქ წყალტუბოს ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში წყალმომარაგების პრობლემა წარმოიშვა. ძველი მილები ხშირად ფუჭდებოდა და სკდებოდა და მოსახლეობა წყლის გარეშე რჩებოდა. ქალები, დიასახლისები, რომლებიც დროის მეტწილს სახლში ატარებენ და საოჯახო საქმეებით არიან დაკავებულნი, ახლომდებარე არტეზიული ჭიდან ვედროებით ეზიდებოდნენ წყალს. ცხადია, ეს უარყოფითად აისახებოდა მათ ჯანმრთელობაზე და დაძაბულობასაც ქმნიდა დასახლებაში. მდგომარეობა განსაკუთრებით რთულდებოდა ზაფხულობით, როცა არტეზიულ ჭებში წყალი შრებოდა და ქალებს კიდევ უფრო შორს უწევდათ წასვლა წყლის მოსატანად.

ამ თემის ქალებმა გამოკითხვის დროს თავიანთი პრობ-

ლემა გაუზიარეს ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლებს. მიღებულ იქნა საინიციატივო ჯგუფის შექმნის და რეაგირების გადაწყვეტილება. ერთობლივად დაისახა პრობლემის მოგვარების კონკრეტული ნაბიჯები. წარუმატებელი აღმოჩნდა წყალტუბოს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურისადმი მიმართვის მცდელობა, რომელმაც უარის მიზეზად მუნიციპალურ ბიუჯეტში სისტემის რეაბილიტაციისთვის შესაბამისი მუხლის არარსებობა დაასახელა. ამის შემდეგ საკითხი საკრებულოში დაისვა. საკრებულოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომელიც ამავე დროს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი და ფონდი „სოხუმის“ აქტიური მოკავშირეა, არაერთხელ დასვა საკითხი პრობლემის სიმწვავის შესახებ და არწმუნებდა კოლეგებს, რომ მისი გადადება არ შეიძლებოდა. ამის შედეგად, 2019 წლისთვის გამოიყო ბიუჯეტი წყალგაყვანილობის მიწების რეაბილიტაციისთვის. ამჟამად დასრულებულია ტენდერი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე და მოსახლეობა პრობლემის სწრაფი მოგვარების მოლოდინშია.



ელექტრონული ბოძის დაზიანება

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც აწუხებდა მოსახლეობას, იყო ელექტრობოძის დაზიანება წყალტუბოს საქალაქო სასაფლაოზე. ბოძი ისე გადაიხარა, რომ მოსალოდნელი იყო მისი ნაქცევა და ეს დიდ რისკს უქმნიდა სასაფლაოზე მისული მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ელექტრობოძის გაუმართაობისა და ნაქცევის საშიშროების გამო ადამიანები იძულებულნი იყვნენ, სხვა სასაფლაოებით გადასულიყვნენ საჭირო ადგილამდე, რაც ხშირად გარდაცვლილთა ნათესავ-ახლობლების უკმაყოფილებას იწვევდა. არსებული პრობლემა არაერთხელ იქცა მოქალაქეთა შო-

რის დაძაბულობისა და კონფლიქტების მიზეზად. ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლებთან გამოკითხვის ერთ-ერთი მონაწილის საუბრის შემდეგ, საინიციატივო ჯგუფმა, რეაგირების კუთხით, გადაწყვიტა პრობლემის ადვოკატირება ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე. შეგროვდა მოქალაქეთა ხელმოწერები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ გადაქანებული ელექტრობოძი საშიშროებას ქმნის. დაიწერა არაერთი წერილი და პეტიცია მუნიციპალიტეტის სათანადო სამსახურების მისამართით. მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებდა, რომ ბოძი თბილისის ერთ-ერთ ელექტრონულ კომპანიას მიეკუთვნება და მისი გამაგრების თუ დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მას შეუძლია. სამთვიანი განუწყვეტელი კამპანიის და ელექტრობოძის მესაკუთრესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან სისტემატური კომუნიკაციის შედეგად მიღებულ იქნა ბოძის გამაგრების გადაწყვეტილება და გადაიდგა შესაბამისი ნაბიჯები პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ხურჩა



ამბულატორიის არარსებობა

სოფელი ხურჩა მდებარეობს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან და ეს ზონა კონფლიქტურად საკმაოდ მგრძნობიარეა. ამ ადგილას არ ფუნქციონირებს ადამიანის საბაზო საჭიროებების დაკმაყოფილების სერვისები (აფთიაქები, მაღაზიები, სკოლა), ეს კი ნეგატიურად მოქმედებს მათ ცხოვრებასა და მდგომარეობაზე. მუდმივი დაძაბულობა, სტრესი და მძიმე ფსიქოლოგიური ფონი, რომელიც ამ დასახლებას ახასიათებს, უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთე-

ლობაზე. სოფელში ამბულატორიაც კი არ არის პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად. სოფლის მცხოვრებლებს ახლომდებარე სოფლებში ან ზუგდიდში უწევთ ჩასვლა. ეს პრობლემა განსაკუთრებულად აღელვებს ხანდაზმულებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობას უმრავლესობას შეადგენენ და სხვადასხვა დაავადება აწუხებთ. ხურჩის მცხოვრებთა არაერთგზისი თხოვნა - გაეხსნათ სოფელში ამბულატორიული ცენტრი - არ დაკმაყოფილებულა, რადგან არსებული რეგულაციებით, ამბულატორია იხსნება არანაკლებ 300 ოჯახისთვის. ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილება კი ხურჩას არ შეუძლია, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა მოსახლეობის უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობა, ტოვებს სოფელს და მიგრირებს ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ უკეთესი და ღირსეული ცხოვრების ძიებაში.

საინიციატივო ჯგუფმა გადაწყვიტა პრობლემის ადვოკატირება როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე. შემუშავდა და დაიგზავნა წერილები და პეტიციები ჯანდაცვის სამინისტროში, ხელისუფლების ადგილობრივ სტრუქტურებში. სამინისტრომ პრობლემა ადგილობრივ მთავრობასთან გადაამისამართა, რასაც არაერთი შეხვედრა მოჰყვა მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების ჩინოვნიკებთან. ხელისუფლებამ აღიარა, რომ, დასახლების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება გამონაკლისის დაშვება და სოფელში ამბულატორიის გახსნა. ადგილობრივი ხელისუფლების დაპირების თანახმად, ამბულატორიის გახსნა დაიგეგმება 2020 წლის ბიუჯეტში.



კვირამობით ავტომობილის არარსებობა

კვირამობით სოფელ ხურჩაში არ ფუნქციონირებდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სოფლის მცხოვრებლები, განსაკუთრებით ქალები, გადაადგილებისას დიდ პრობ-

ლემებს აწყდებოდნენ. ცნობილია, რომ სოფელში მთავარი საქმე სოფლის მეურნეობაა, ხოლო შემოსავლის ძირითადი წყარო ვაჭრობაა. სწორედ დასვენების დღეებში, სოფლის მცხოვრებნი ახლომდებარე ქალაქებში მიემგზავრებიან, რომ თავიანთი პროდუქტები გაყიდონ და მოიმარაგონ სურსათი და საჭირო სამეურნეო საქონელი (უნდა აღინიშნოს, რომ ხურჩაში მალაზიებიც კი არ არის). კვირაობით ტრანსპორტის არარსებობის პირობებში, სოფლის მცხოვრებთ დატვირთული ჩანთებით ფეხით რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევთ სოფელ კოკამდე, რომ იქაური ტრანსპორტით ისარგებლონ ზუგდიდამდე. და ასეა აქეთა გზაზეც. თუ გავითვალისწინებთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ბაზარში ვაჭრობენ ქალები, მეტიც - ხანშიშესული ქალები, ყოველკვირეულად ტრანსპორტირებასთან და ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული სიძნელეები უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე. მცხოვრებთა მუდმივი უკმაყოფილება დაძაბულობას ქმნიდა თემში, რაც ხშირად კონფლიქტშიც გადაზრდილა.

პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ, ფონდი „სოხუმის“ საინიციატივო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც თემის წევრები, ასევე ზუგდიდის საკრებულოს წარმომადგენლები, დაიწყეს აქტიური მოქმედება მის მოსაგვარებლად. სიტუაციის შესწავლის და მცხოვრებთა გამოკითხვისთვის სოფელში გაგზავნილ იქნა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს სახელზე შემუშავდა და გაიგზავნა პეტიციები. ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლების, თემის წევრებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ჩინოვნიკების არაერთი შეხვედრის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება კვირაობით ავტობუსის გაშვების თაობაზე და 2019 წლის თებერვლიდან ტრანსპორტის პრობლემა მოგვარდა.

დასკვნა

კონფლიქტებისა და კრიზისების დაუმეგობრობა, საზოგადოებისთვის გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილება კონფლიქტების მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია და მიდგომაა. **კონფლიქტების ადრეულმა გაფრთხილებამ**, როგორც მექანიზმმა, რომელიც იძლევა კონფლიქტის წარმოშობამდე ან გამწვავებამდე პროგნოზის და რეაგირების შესაძლებლობას, უნდა უზრუნველყოს თემის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მაქსიმალური ჩართვა. ფონდი „სოხუმის“ გამოცდილება ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თემებთან აქტიური თანამშრომლობა, ადრეული გაფრთხილების სისტემის განვითარების ყველა ეტაპზე მისი ჩართულობის უზრუნველყოფით. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს ადამიანები უშუალოდ აწყდებიან პრობლემებს, პირადად განიცდიან მათ შედეგებს და სიღრმისეულად ესმით თავიანთ თემში დაძაბულობის დინამიკა. ამასთანავე, თემში მეტად მიუწვდებათ ხელი უტყუარი ინფორმაციისადმი. ისინი ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი თავიანთ ლოკაციებში სტაბილურობასა და პოზიტიურ ცვლილებებში. გადაუჭრელი პრობლემის ყოველი დღე მათ ცხოვრებაზე აისახება და მათი პირადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების საშიშროებას ქმნის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თემი განვიხილოთ არა მხოლოდ ინფორმაციის მიმღებად, არამედ ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირად პრობლემის მოგვარებისას. ადრეული გაფრთხილების სისტემას მხოლოდ მაშინ შეუძლია პოზიტიური მდგრადი ცვლილებების მიღწევა, თუკი იმ ადამიანების მონაწილეობაზე დაფუძნებული, ვისაც პრობლემა ეხება. ამ სისტემამ მოსახლეობა სოციალური ცვლილებების მთავარ მამოძრავებელ ძალად უნდა განიხილოს. კი არ უნდა აკონტროლოს, არამედ პარტნიორებად გამოიყენოს.

ადრეული გაფრთხილების სისტემა ადამიანებზეა ორიენტირებული და მისი მხარდაჭერით მოქალაქეებს აქვთ თავიანთი ინტერესების დაცვის შესაძლებლობები. მნიშვნელოვა-

ნია ამ პროცესში გენდერული განზომილების მაქსიმალური გაფართოება და ქალებისა და მამაკაცების საჭიროებების, პრიორიტეტების, პოტენციალის გათვალისწინება. სისტემის ეფექტიანობისთვის აუცილებელია რაც შეიძლება მეტი ქალის აქტიური ჩართვა. ქალთა შეხედულებების ინტეგრირება ადრეული გაფრთხილების სისტემის განვითარების ყველა სტადიაზე უზრუნველყოფს კონფლიქტის მიზეზებში ჩაღრმავებას და, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის კონფლიქტების შერბილების ან თავიდან აცილებისთვის სათანადო ზომების შემუშავებას.

აღნიშნულ სისტემაში გენდერული ასპექტების ინტეგრირება და ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა გაზრდის მასში მონაწილე ქალთა როლს საზოგადოებრივ პროცესებში. ქალები მოხვდებიან თემში მიმდინარე მოვლენების შუაგულში, გავლენას მოახდენენ გადაწყვეტილებების მიღებაზე. შეიცვლება მათი სტატუსი და იმიჯი ოჯახსა და საზოგადოებაში, რადგანაც მათ შეეძლებათ არა მარტო საკუთარი, არამედ ოჯახის თუ თემის წარმომადგენელთა დაცვა და პოზიტიური ცვლილებების მიღწევა.

პრაქტიკაში კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების გენდერულად ორიენტირებული სისტემის დანერგვა არის არა მხოლოდ მექანიზმი კონფლიქტების თავიდან აცილებისათვის, არამედ ინსტრუმენტი ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის. ის უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის ინტერესზე, საჭიროებასა და უფლებაზე დაფუძნებული საზოგადოების სტაბილურ და ჰარმონიულ განვითარებას.

ადრეულ სტადიაზე მოგვარებული ყოველი პრობლემა ჩანასახშივე აღმოფხვრილი კონფლიქტია. და კონფლიქტის პრევენციისკენ მიმართული რაც უფრო მეტი პოზიტიური მაგალითი შეიქნება მოქალაქეებს, სამთავრობო სტრუქტურებსა და არასამთავრობო სექტორს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის თვალსაზრისით, მით უფრო გაიზრდება შესაძლებლობა - მივუახლოვდეთ არაძალადობრივი, მშვიდობიანი, სტაბილური და მდგრადი მშვიდობის მოდელს.



კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

ანალიტიკური სტატიის ავტორი
ეკატერინე გამახსარი

პროექტის დირექტორი - ალლა გამახსარი

პროექტის ასისტენტი - ხათუნა გოგუა

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

მისამართი:

ქ. ქუთაისი, მაგალობლიშვილის 6

ტელ: (431) 27 13 68

597 40 51 46

ელფოსტა: womansukhumi@gmail.com

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

ფეისბუქგვერდი: www.facebook.com/fsokhumi/

